საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00108

კოლი M D 1 „ 12 “ „ თებერვალი “ 2008 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „ბაზილიკა“

2. საქმიანობის მიზანი სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) კადაშენებელ და ცემენტის წარმოება

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა თერჯოლა. თერჯოლის კადასახვევის მიმდებარე ტერიტორია. ნაკვეთი 859

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია კირქვის დაცვითი საკონსულტაციო ცენტრი შპს „ეკოლენტრი“

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 12; 7.02.08.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარეგნობაზე მოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

კობა ტყაბაძე

ბ.ა.

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ცხაკაია
(სახელი, გვარი)

ბ. ა.
(ხელმოწერა)

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 12

7 თებერვალი 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. **საქმიანობის დასახელება** –სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების – ცემენტისა და კირქვის დასაფქვავი საწარმო
2. **საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი** – შპს „ბაზილიკა". თბილისი. დიღმის მასივი III კვ. კორპ. 1ა
3. **განხორციელების ადგილი** – თერჯოლა, თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორია. ნაკვეთი 859
4. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** – 18.01.08.
5. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ**– გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმა შპს „ეკოლცენტრი".

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „ბაზილიკა"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია „ცემენტისა და კირქვის დასაფქვავი საწარმო"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტთან შეთანხმებული გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმების პროექტი და საწარმოს ჩამდინარე წყლებთან ერთად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები.

საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია თერჯოლის გადასახვევის მიმდებარედ არსებულ სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე. საწარმო საცხოვრებელი მასივიდან დაშორებულია 1000 მეტრზე მეტი მანძილით, სატრანსპორტო მაგისტრალიდან–400 მეტრით და ჭალის ტყიდან–200 მეტრით.

საქმიანობის მიზანია პორტლანდცემენტისა და წიდაპორტლანდ-ცემენტის წარმოება, წლიური წარმადობით 19 200 ტონა და ფილერის (კირქვის დაფქვა) წარმოება წლიური წარმადობით 15 360 ტონა.

საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტის თანახმად ცემენტისა და ფილერის წარმოება საწარმოს კუთვნილ მოწყობილობა-დანადგარებზე განხორციელდება მონაცვლეობით.

ამავე სამრეწველო მოედანზე შპს „ბაზილიკა"-ს მიერ დაგეგმილია წელიწადში 74 800 ტონა ინერტული მასალების წარმოება. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონი ინერტული მასალების გადამუშავებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას არ ითვალისწინებს, წინამდებარე დასკვნაში აღნიშნული საქმიანობით გამოწვეული გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილული არ იქნება.

საწარმოს საქმიანობა ძირითადად გათვლილია საქართველოს სანედლეულო ბაზაზე. ცემენტის წარმოებისთვის საჭირო კლინკერის შემოტანა მოხდება კასპის, კავთისხევის, რუსთავის და სომხეთის ცემენტის საწარმოებიდან. წარმოებაში საჭირო სხვა დანამატების შემოტანა გათვალისწინებულია ხანდაკისა და მარნეულის საბადოებიდან, რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნებიდან და სხვა.

საწარმოო ობიექტის მიერ გარემოში გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა ტექნიკური ანგარიშის საფუძველზე დადგენილია გარემოში ემისიის წყაროები: ნედლეულის მიღება-დასაწყობების უბანი, ნედლეულის შესანახი საწყობი, ტრანსპორტიორი, ბურთულებიანი წისქვილი, ტრასპორტირება სილოსებში და პროდუქციის ცემენტმზიდებში გადტვირთვის ადგილები და ყოველი კონკრეტული წყარისათვის დადგენილია მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსივობა.

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა არაორგანული მტვერი.

წარმოდგენილი გზშ ანგარიშის თანახმად გარემოს ნორმატიული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საწარმოში გათვალისწინებულია სამ საფეხურიანი გამწმენდი სისტემის დამონტაჟება: პირველი საფეხური – მტვერდამლექი კამერა ეფექტურობით 10%, II საფეხური – მშრალი მტვერდამჭერი ციკლონი ეფექტურობით 70%, III საფეხური – ქსოვილიანი ფილტრი ეფექტურობით 99,8%. მტვერდამჭერ სისტემაში დალექილი მასის დიდი ნაწილი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში, მცირე ნაწილი კი ვენტილატორითა და მტვერგამწოვი მილით გამოიტყორცნება ატმოსფეროში.

საწარმოს ნედლეულის სასაწყობო მეურნეობა განთავსებულია დახურულ შენობაში.

ზემოქმედების შედეგად გამოწვეული გარემოს ახალი მდგომარეობის შეფასებისთვის გაანგარიშებების საფუძველზე შესრულებულია გაბნევის ანგარიში ფონის გათვალისწინებით ორ ვარიანტად: (I – ცემენტის წარმოება, II – ფილერის წარმოება), რის შედეგადაც გამოვლენილია, რომ მავნე ნივთიერებათა (არაორგანული მტვერი) ფორმირებული კონცენტრაციები ზდკ-ს აღწევს საწარმოდან 400 (I ვარიანტი) – 450 (II ვარიანტი) მეტრში. საწარმოს მოთხოვნილება წყალზე განისაზღვრება სასმელ-სამეურნეო წყალმოთხოვნილებით; წყალმომარაგება გათვალისწინებულია ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, წლიური ხარჯით 234 მ^3.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო მყარი და თხევადი ნარჩენების შეგროვება შესაბამისად გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში და ამოსაწმენდ ორმოში, რომელთა გატანა მოხდება პერიოდულად.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად საქმიანობის შედეგად გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად გათვალისწინებულია ასპირაციული სისტემას მოწყობა, მტვრით დაბინძურებული ტერიტორიის პერიოდული მორწყვა და თვითმონიტორინგის ორგანიზაცია.

წარმოდგენილ გზშ ანგარიშში განხილული არ არის საწარმოს საქმიანობის შედგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყეზე და შესაბამისად ფლორასა და ფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება. ხმაურთან დაკავშირებული ინფორმაცია არ შეიცავს წისქვილებისა და სამსხვრეველების ხმაურის საპასპორტო პარამეტრების მონაცემებს, ტექნოლოგიურ პროცესში განხილული არ არის კირქვის დაფქვის წინ კირქვის შრობის პროცესი.

ეკოლოგიური ექსპერტიზის მიმდინარეობის დროს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

1. შპს „ბაზილიკა"-ს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს გამწმენდი დანადგარის სამივე საფეხურის გამართული და ეფექტური მუშაობა;
2. განახორციელოს მომსახურე პერსონალის სპეც. ტანსაცმლითა და სხვა დამცავი საშუალებებით აღჭურვა ;
3. საქმიანობის შედეგად გარემოში მტვრისა და ხმაურის გავრცელების შემცირების მიზნით გამწვანდეს საწარმოს ტერიტორია ორ დონეზე (დაირგოს ხეები და ბუჩქები);
4. გზშ ანგარიშში მოცემული სტრატეგიის შესაბამისად თვითმონიტორინგის ქსელში ჩართული მტვრის ემისიის განსაზღვრის ერთ-ერთ წერტილად აღებული იქნეს უახლოესი დასახლებული პუნქტი;

IV. დასკვნა

შპს „ბაზილიკა"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების–ცემენტისა და კირქვის დასაფქვავი საწარმო-ს" საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
კომისიის თავმჯდომარე

თამაზ ბუდაღაშვილი
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 153

ქ. თბილისი "12" 02 2008 წ.

შპს „ბაზილიკა"-ზე სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამუშავებასა და ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ბაზილიკა"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამუშავებასა და ცემენტის წარმოებაზე
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი,. სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №12, 7.02.08. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი.

ზაალ გამცემლიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.